02 IANUARIE
RUGĂCIUNEA
SF.CUVIOS SERAFIM DE LA SAROV

საევდრებელი ლოცვა ღირსისა მამისა სერაფიმე საროველისადმი

ჰოი, დიდაო სათნომყოფელო უფლისაო, ღირსო და ღმერთშემოსილო მამაო სერაფიმე! მოიხილე საყდრითა დიდებისათა ჩვენ უძლურთა და უღირსთა, მრავალთა ცოდვათა გამო ტვირთმძიმეთა, შენისა ლოცვისა და ნუგეშინისცემისა მთხოვნელთა ზედა, შეგვიტკბე ჩვენ გულმოწყალებისა შენისათვის და შეგვეწიე, რათა ქრისტეს მცნებანი უმანკოდ დავიცვათ, სარწმუნოება მართლმადიდებლობისა მტკიცედ ვიპყრათ, სინანული ცოდვათა ჩვენთათვის უფალსა გულწრფელად მივართვათ და ღვთისმსახურებასა შინა წარვემატებოდეთ, რათა ღირსნი ვიქმნეთ ლოცვათა შენითა წინაშე ღვთისა ჩვენთვის შეწირულისა.

ჰოი, წმიდაო ღვთისაო, შეისმინე ჩვენი, სიყვარულითა და სარწმუნოებით შენდამი ლოცვათა შემწირველთა და ნუ მომიძაგებ ჩვენ, რომელნი ვითხოვთ შეწევნასა შენსა; აწ და ჟამსა აღსრულებისასა შეგვეწიე ჩვენ და გარე შეგვზღუდე ლოცვითა შენითა მზაკვართა ეშმაკთა ზედა დასხმისაგან, რათა არა გვეუფლნენ წინააღმდგომნი სულნი ბოროტნი, არამედ ღირს ვიქმნეთ მეოხებითა შენითა დამკვიდრებად სასუფეველსა ცათასა. შენზედა დაგვიძს სასოება ჩვენი, მამაო მოწყალეო, გვექმენ ჩვენ მმართებლად გზასა ზედა ხსნისასა, რათა წინამძღოლობითა შენითა მივიწივნეთ დაუღამებელსა ნათელსა საყდარსა ყოვლადწმიდისა სამებისასა, რომელსა ვუგალობთ და ვადიდებთ ყოველთა

წმინდათა თანა, ყოვლად თაყვანისსაცემსა სახელსა მამისა და ძისა და წმინდისა სულისა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ჰოი, უსაკვირველოსო მამაო სერაფიმე, საროვის დიდო სასწაულთმოქმედო, სწრაფლშემსმენო შენდა მოლტოლვილთაო! ჟამსა ამა სოფელში მოღვაწებისასა არავინ წარსრულ არს შენგან უნუგეშო და სევდიან, არამედ ყოველთათვის საამო იყო ხილვა სახისა შენისა და კეთილ მითვალულ ხმა ბაგეთა შენთა; ნიჭი კურნებისა, მჭვრეტელობისა, უმწეო სულთა წამლობისა უხვად არს შენში, ყოვლად ნეტარო; ოდეს უფალმა მოგიწოდა შენ, ღირსო მამაო სერაფიმე, ზეციურ განსვენებისათვის, სიყვარული შენი არა დაუტევე ჩვენგან, არამედ აღურაცხელ არიან საკვირველებანი შენნი და ურიცხვ ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი: ღირსო მამაო, საკვირველმოქმედო სერაფიმე, სასოებით გიღაღადებთ; უწყნარესო და მშვიდო წმინდაო ღვთისაო, უფლისადმი კადნიერო მლოცველო, შენდა შევრდომილნი შეწევნასა შენსა ვითხოვთ; მიართვ მადლმოსილი ლოცვა შენი ჩვენ ცოდვილთათვის უფალსა ყოვლისა მპყრობელსა, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენნი; განამტკიცოს სამშობლო ჩვენი; მოგვანიჭოს ყოველი კეთილი ამა ცხოვრებასა შინა და უმჯობესი სულისა ჩვენისა; დაგვიფაროს ცოდვით დაცემისაგან და მოგვმადლოს ნიჭი ჭეშმარიტი სინანულისა, რათა დაუბრკოლებლად მივიწივნეთ სამარადისოსა სასუფეველსა ცათასა, სადაც დაუსრულებელ არს წარუვალი ნათელი დიდებისა მისისა და ჩვენცა ყოველთა წმიდათა თანა შევასხმიდეთ გალობასა, პატივსა და თაყვანისცემასა, ყოვლადწმინდასა ერთარსსა, ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, საუკუნოთა უკუნისამდე, ამინ.